



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია:
სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“
დირექტორის # 41 31.05.2019წ ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ოპიზარი"
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

სავალი ნაწილის შეკეთება

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 111

ტელეფონი: T- (365) 2 2 11 03 ; T-599172005 ; (365) 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებ გვერდი: <http://opizarivet.ge/>

პროგრამის ხელმძღვანელი: დემური ზოდოკია, პეტრე მაისურაძე

2019 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, ქართულ და ინგლისურ ენაზე , რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალური ავტოსატრანსპორტის სერვისი / Vehicles Body and Special Purpose Techniques Service
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა 07119-პ
3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენებზე:
საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში / Basic Vocational Qualification in Vehicle Repair

აღნიშნული კვალიფიკაციები განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საჰაერო ხომალდები, კოდი - 0716, აღმწერი - „შეისწავლის ძრავიანი ტრანსპორტის (მ.შ. დედამიწაზე მოძრავი მანქანები და სასოფლო - სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საჰაერო ხომალდები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, ექსპლუატაციას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას. ამ სფეროსთვის ჩვეულებრივია ლითონის სტრუქტურისა და ძრავების შესწავლის კომბინირება.“

4. მიზანი:

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „სავალი ნაწილის შეკეთება“, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიულ განათლებაში პროფესიული პროგრამების დანერგვას, რომლებიც ახდენს სატრანსპორტო სფეროში აგრარული ტექნიკისა და ავტომობილების დიაგნოსტიკას, აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას, მოდერნიზებასა და შეკეთებას.

5. დაშვების წინაპირობა:

საბაზო განათლება

6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:

მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის ტექნიკოსად, ძრავას მექანიკოსად (საავტომობილო ტრანსპორტი), ძრავას მექანიკოსად (აგრარული ტექნიკა), ავტოსერვისის მექანიკოსად, ელექტრიკოსად, სავალი ნაწილის მექანიკოსად, დიაგნოსტიკოსად.

- ეკონომიკური საქმიანობების სახეების ეროვნული კლასიფიკატორის კოდები: 45.2; 45.20; 45.20.0
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCO) კოდი: 7231.

7. სტრუქტურა და მოდულები

საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში - მოიცავს 6 ზოგად მოდულს ჯამური 16 კრედიტის რაოდენობით, 6 საერთო პროფესიულ მოდულს ჯამური 17 კრედიტის რაოდენობით, 4 პროფესიულ მოდულს ჯამური 10 კრედიტის რაოდენობით და კონცენტრაციას:

- სავალი ნაწილის შეკეთება - მოიცავს 5 კონცენტრაციის მოდულს ჯამური 15 კრედიტის რაოდენობით
- 3 არჩევით მოდულს ჯამური 10 კრედიტის რაოდენობით

ქართულენოვანმა სტუდენტმა მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში საბაზო პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად უნდა დააგროვოს **68 კრედიტი**, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული ტესტირების გზით ჩარიცხულმა სტუდენტმა - **83 კრედიტი**.

- მოდულის ქართული ენა A2 გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულით.
- პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:
- ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 68 კრედიტი, 11 თვე
- არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 83 კრედიტი, 14 თვე

ზოგადი მოდულები საბაზო პროფესიული კვალიფიკაციისათვის	
მოდულის დასახელება	კრედიტი
მეწარმეობა 1	2
ინფორმაციული წიგნიერება 1	3
რაოდენობრივი წიგნიერება	2
ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3
სამოქალაქო განათლება	2
უცხოური ენა (ინგლისური ენა)	4
ჯამი:	16

საერთო პროფესიული მოდულები	
მოდულის დასახელება	კრედიტი
ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია	2
შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა	3
ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები	4
დამკვეთთან ურთიერთობა	2
საზეინკლო საქმის საფუძვლები	4
გაცნობითი პრაქტიკა - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოსატრანსპორტის სერვისები	2
ჯამი:	17

მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ტრანსმისიის კლასიფიკაცია	2
2	დაკიდების სისტემის საჭით მართვის და სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია	3
3	ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები	2
4	შიდაწვის ძრავების კლასიფიკაცია	3

	ჯამი:	10
კონცენტრაცია - სავალი ნაწილის შეკეთება - მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის სერვისი	3
2	გადაცმათა კოლოფის მოხსნა-დაყენება	2
3	დაკიდების სისტემის სერვისი	4
4	საჭით მართვის მექანიზმის და გამამდიერებელი სისტემების სერვისი	3
5	წამყვანი ხიდები და ამძრავები	3
	ჯამი:	15

პროგრამა მოიცავს 3 არჩევით მოდულს ჯამური 10 კრედიტის ოდენობით

არჩევითი მოდულები		
№	მოდულის დასახელება	კრედიტი
1	საგზაო მოძრაობის წესები	2
2	სათადარიგო ნაწილების შერჩევა	3
3	საშემდულებლო მოწყობილობები და მათი ექსპლოატაცია	5
	ჯამი	10

8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები

კურსდამთავრებულს შეუძლია:

საერთო სწავლის შედეგები:

1. მოახდინოს სატრანსპორტო საშუალებების, დაკიდების სისტემის საჭით მართვისა და სამუხრუჭე სისტემების, ტრანსმისიის და შიგა წვის ძრავების კლასიფიცირება
2. შეარჩიოს სათადარიგო ნაწილები
3. დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები
4. ჩაატაროს ზოგადი ელექტროტექნიკური და ელექტრონული გაზომვები
5. წარმართოს საქმიანობა შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი წესების გათვალისწინებით

6. წარმართოს დამკვეთთან ეფექტური კომუნიკაცია.

სწავლის შედეგები მსუბუქი ავტომობილის შეკეთების მიმართულებით:

1. მოახდინოს დაკიდების, საჭით მართვის, სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია
2. წაიკითხოს და გაანალიზოს ბლოკ-სქემები და პრინციპული სქემები
3. მოახდინოს ავტოსატრანსპორტო საშუალებების, გადაცემათა კოლოფების, წამყვანი ხიდების და მათი ამძრავების კლასიფიკაცია მუშაობის პრინციპის მიხედვით
4. მოახდინოს შიგაწვის ძრავების კლასიფიკაცია აგებულების, ცილინდრების განლაგების, საწვავის ტიპების და ჰაერის მიწოდების სისტემის მიხედვით.

სწავლის შედეგები კონცენტრაციისთვის „სავალი ნაწილის შეკეთება“:

1. განახორციელოს ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის, დაკიდების სისტემის, საჭით მართვის სისტემების, წამყვანი ხიდებისა და ამძრავების სერვისი
2. მოხსნას და დააყენოს გადაცემათა კოლოფი.

9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“ ჩარჩო დოკუმენტის „ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოსატრანსპორტის სერვისის“ საფუძველზე შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სავალი ნაწილის შეკეთება“ რომელიც ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე ჩარჩო დოკუმენტის მოდულების კრედიტთა მოცულობის არა უმეტეს 20%-ისა. (10კრედიტი).

10. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;

- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ჟესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

მართლწერა

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და მახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

11. კვალიფიკაციის მინიჭება

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა/მსმენელმა უნდა გაიაროს ზოგადი სავალდებულო მოდულები და საერთო დარგობრივი მოდულები. ასევე, მსუბუქი ავტომობილების შეკეთების კონცენტრაციის მოდულები.

12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

დანართი № 1 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი

დანართი №2 -სასწავლო გეგმა

დანართი №3 – მოდულები:

დანართი 3.1 მეწარმეობა 1

დანართი 3.2 ინფორმაციული წიგნიერება 1

დანართი 3.3 რაოდენობრივი წიგნიერება

დანართი 3.4 ინტერპერსონალური კომუნიკაცია

დანართი 3.5 სამოქალაქო განათლება

დანართი 3.6 უცხოური ენა (ინგლისური ენა)

დანართი 3.7 ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია

დანართი 3.8 შრომის უსაფრთხოება და გარემოს დაცვა

დანართი 3.9 ზოგადი ელექტროტექნიკის საფუძვლები

დანართი 3.10 დამკვეთთან ურთიერთობა

დანართი 3.11 საზეინკლო საქმის საფუძვლები

დანართი 3.12 გაცნობითი პრაქტიკა - ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და სპეცდანიშნულების ავტოსატრანსპორტის სერვისები

დანართი 3.13 ტრანსმისიის კლასიფიკაცია

დანართი 3.14 დაკიდების სისტემის საჭით მართვის და სამუხრუჭე სისტემის კლასიფიკაცია

დანართი 3.15 ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოები

დანართი 3.16 შიდა წვის ძრავების კლასიფიკაცია

დანართი 3.17 ავტომობილის სამუხრუჭე სისტემის სერვისი

დანართი 3.18 გადაცემათა კოლოფის მოხსნა-დაყენება

დანართი 3.19 დაკიდების სისტემის სერვისი

დანართი 3.20 საჭით მართვის მექანიზმის და გამაძლიერებელი სისტემების სერვისი

დანართი 3.21 წამყვანი ხიდები და ამძრავები

დანართი 3.22 საგზაო მოძრაობის წესები

დანართი 3.23 სათადარიგო ნაწილების შერჩევა

დანართი 3.24 საშემდგომლო მოწყობილობები და მათი ექსპლოატაცია

დანართი 3.25 ქართული ენა A2

პროგრამის განხორციელებისათვის დადებულია ხელშეკრულებები:

მიკრო/მეწარმე გურამი კაჭკაჭაშვილი - ხელშეკრულება N26 . 20.03.2019

ი/მეწარმე ნიკა გიორგაძე - ხელშეკრულება N27. 05.03.2019

ი/მეწარმე მირიან დევნოსაძე - ხელშეკრულება N28. 20.03.2019